


# შირაქი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5 (9.915)
ფასი: 50 თეთრი
7 - 14 მარტი 2020 წელი


# ულოცავენ!



ძვირფასო ქალბატონებო, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს- დედის და ქალთა დღეებს.

სიცოცხლის განახლება და გამორჩეული სილამაზე- ყველა ეს სიტყვა ერთნაირად გამკობთ გაზაფხულსაცა და თქვენც, მშვენიერო მანდილოსნებო.

ყველამ ვიცით, რომ დედის დღე პირველად დამოუკიდებელ საქართველოში აღინიშნა, მას შემდეგ კი არც თუ ისე დიდი დრო გავიდა. ამის მიუხედავად, 3 მარტი ჩვენი ერის ტრადიციის განუყოფელ ნაწილად იქცა, დედაშვილური სიყვრული ხომ ყველაზე ძლიერი, გულწრფელი და წმინდა გრძნობაა.

არაერთხელ მითქვამს, რომ ვამაყობ, რადგან იმ ქვეყნის შვილი ვარ, სადაც ქალს ყოველთვის აღმატებული ფუნქცია და პატივისცემა ჰქონდა და რომლის ისტორიამაც მრავალი ბრწყინვალე ქალბატონის სახელი შემოგვინახა.

გისურვებთ იყოთ პატრიოტი, წარმატებული შვილების აღმზრდელები და თვითონაც წარმატებულები, ხალისიანები და ლამაზები.

მრავალ ბედნიერ გაზაფხულს დაესწარით. უფალი გფარავდეთ!

**პატივისცემით**
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**



ქალთა დღესასწაულები- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეები გაზაფხულის მოსვლას გვაუწყებენ. ამიტომაც, ქალი არის მშვენიერების, სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლო. გილოცავთ ამ ლამაზ თარიღებს ყველა დედას, ყველა ქალბატონს... მთელი ჩვენი ისტორია საქართველოს ქალების, დედების სათნოების, გმირობის, თავდადებისა და გამძლეობის მაგალითია და ასეა დღესაც. ქართულ კულტურაში ქალი არასდროს აღიქმებოდა სუსტ, დაუცველ არსებად, პირიქით, ის ყოველთვის იყო ჩვენი ეროვნულობისა და თვითმყოფადობის გარანტი. დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ხშირად გვხვდება ქალზე ძალადობის ფაქტები. მის დასაძლევადაც ქალების ძალისხმევაა აუცილებელი, რა თქმა უნდა, საზოგადოების ყველა წევრთან ერთად.

გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გახარებას და, რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოსთვის განათლებული და საამაყო შვილების გაზრდას. ყველაზე დიდი ჯილდო მშობლისათვის შვილის წარმატებაა. გისურვებთ, რომ მუდამ ბედნიერები და გახარებულები ყოფილიყავით თქვენი შვილების წინსვლით, შვილებს კი ვუსურვებ, მუდამ ჰქონდეთ უნარი, სითბო და პატივისცემა არ მოაკლონ დედებს.

**პატივისცემით,**
ირაკლი შიოლაშვილი,
**საქართველოს პარლამენტის წევრი**

გაზაფხულის შემობრძანებასა და თქვენს დღესასწაულ;ებს გილოცავთ, გაზაფხულივით ფერადო და ულამაზესო ქალბატონებო.

საქართველოში როგორც დედის, ასევე ქალთა საერთაშორისო დღეებს განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით აღვნიშნავთ და ეს იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველ მამაკაცებს, სწორედაც რომ განსაკუთრებულად გვიყვარხართ .

თბილო და მზიანო დედებო, დებო, შვილებო და მეუღლეეებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ 3 და 8 მარტს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს, წინსვლასა და წარმატებებს, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!



**პატივისცემით,**
ნუგზარ პაპიაშვილი
**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

# უახლესი საჭადრაკო მიღწევები...

ჩვენს მკითხველს არაერთხელ ვესაუბრეთ ახლადშექმნილი ჭადრაკის კლუბის თაობაზე, რომელსაც ფეხდაფეხ მივდევთ და არ ვტოვებთ ყურადღების მიღმა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოზარდების წარმატებებს. დღეს თებერვალში გამართული ტურნირების თაობაზე გვესაუბრებიან კლუბის პედაგოგები-გოგი კიკილაშვილი და გიგი ყორჩიაშვილი.

-თებერვალი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა კახეთის მასშტაბით ბავშვთა სხვადასხვა ასაკში შიდა ტურნირების ჩატარების თვალსაზრისით. გვინდა აღვნიშნოთ, რომ რამოდენიმე წელია 8 ასაკობრივ ჯგუფში არ ჩატარებულა ერთად .კერძოდ , ქ.საგარეჯოში 15 თებერვალს გაიმართა კახეთის ჩემპიონატი 8 წლიანებსა და 14 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში. 14 წლიანთა ჯგუფში ილია ტოკლიკიშვილი, დემეტრე ფიროსმანაშვილი და ძმები გველუკაშვილები მონაწილეობდნენ, ხოლო იოანე ოგანესიანმა 8 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში მიიღო მონაწილეობა. ამ ტურნირზე საპრიზო მესამე ადგილი მოიპოვა ილია ტოკლიკიშვილმა , ხოლო 8 წლის იოანე ოგანესიანმა აიღო მეოთხე ადგილი . აღსანიშნავია, რომ იგი სულ სამი თვეა შემოუერთდა ჩვენს საჭადრაკო კლუბს.

22-23 თებერვალს გურჯაანის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა 10-16 წლიანთა ბავშვთა ჩემპიონატს. აქ საჭადრაკო პარტიები წარიმართა ფიდეს წესების სრული დაცვით(45 წთ +10 წამი). 10 წლიანებში ჩვენიდან ვერცერთმა მოჭადრაკემ ვერ მიიღო მონაწილეობა, ხოლო 16 წლიანებში გიორგი გველუკაშვილი, დემეტრე ფიროსმანაშვილი და ილია ტოკლიკიშვილი გამოვიდნენ. ბრძოლა გურჯაანში საკმაოდ საინტერესო და დაძაბული იყო. ცნობისათვის, აქ თავი მოიყარეს ქვეყნისა და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულებმა:ძმებმა წანაწყენაშვილებმა, დებმა ლიმარებმა, თუშიშვილმა, დათა ყალაბეგაშვილმა. მათი ფიდეს მსოფლიო რეიტინგი 1300-ის ზევითაა. მიუხედავად ამისა, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენმა ბიჭებმა, ილია ტოკლიკიშვილმა 4 ქულა, ხოლო გიორგი გველუკაშვილმა 3,5 მოაგროვა.



ასევე მნიშვნელოვანი ტურნირი გაიმართა 29 თებერვალს ქ.ლაგოდეხში 12 და 18 წლიან ასაკობრივ ჯგუფებში. 12 წლიანებში ჩვენი საჭადრაკო კლუბიდან მონაწილეობა მიიღო სალომე ჩხაიძემ, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია. მთავარი ბრძოლა 16 წლიან და 18 წლიან ჯგუფებში წარიმართა, სადაც მონაწილეობდნენ 16 წლიანებში ილია ტოკლიკიშვილი, დემეტრე ფიროსმანაშვილი, და ნიკოლოზ გველუკაშვილი, ხოლო 18 წლიანებში გავიდნენ ალეკო კოტაშვილი და გიორგი გველუკაშვილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ჯგუფში ყველა ძლიერი მოთამაშე იყო თავმოყრილი, შესაბამისად ბრძოლა ძალიან საინტერესოდ და დაძაბულად მიდიოდა. ამ ტურნირში უნდა აღინიშნოს 13 წლის გიორგი გველუკაშვილის წარმატება, რომელმაც საპატიო მესამე ადგილი დაიკავა 18 წლიანთა ასაკობრივ კატეგორიაში. . მან სერიოზულად მოუმატა თეორიულ ცოდნას და მხოლოდ მცირედი სატურნირო გამოცდილება გახლდათ მიზეზი, რომ დათმო თამაში წანაწყენაშვილთან , რა მიზეზითაც დაკარგა მეორე ადგილი. დარწმუნებული ვართ, თუ ასე გააგრძელა და გადალახა ფსიქოლოგიური ბარიერები(პრაქტიკული გამოცდილებით), იგი აუცილებლად დიდ წარმატებას მიაღწევს მომავალში.

ჩვენს საჭადრაკო კლუბს სულ მალე წინ ელოდება ნუნუ კობაიძის სახელობის დედოფლისწყაროს ჩემპიონატი რაპიდ ჭადრაკში, რომელიც სასწავლო პროცესის შეჩერაბასთან ერთად გარკვეული დროით გადაიდო. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით გვინდა, მოსახლეობამ იცოდეს, რომ ტურნირი ჩატარდება როგორც 12 და 18 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე 18 წლის ზევით მოზრდილ მოსახლეობას ვიწვევთ მონაწილეობისთვის, განსაკუთრებით იმ ქალბატონებს, რომლებსაც აქვთ ცოდნა-გამოცდილება ამ კუთხით და სხვადასხვა დროს სკოლებში ბავშვთა ჭადრაკის წრეებში ასწავლიან.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

C M Y K

# კიდევ ერთხელ ქალებზე და არა მარტო...

„ვიდრე კაცები ჩუმად ვართ, სულ მოკლავენ უდანაშაულო ქალებს ქმრები, ყოფილი ქმრები, მამები, ძმები, შვილები.

ვიდრე ჩვენ ჩუმად ვართ, სულ სცემენ და გააუბედურებენ მათ ცხოვრებას. როდემდე ვიჯდეთ და ვუყუროთ, როგორ ჭრიან ყელს, როგორ ურტყამენ სასიკვდილოდ ზურგში ქალებს, რომლებსაც უბრალოდ არ მისცა ღმერთმა იმდენი ფიზიკური ძალა, რომ კაცს გაუმკლავდეს.

ხვალ რა ვქნათ მერე, ჩვენი შვილები, დები რომ გვეზრდებიან. დღეს თუ ხმას არ ამოვიღებთ, დღეს თუ ჩვენ კაცები და ქალები ერთად არ ვიტყვით ხმამაღლა, რომ ეს სადიზმი და უბედურება უნდა ჩავახშოთ, მაშინ შეგვცივდება, როცა ზამთარი ჩვენი სახლის კართან დადგება. ყველამ, ცნობილებმა, უცნობებმა, სპორტსმენებმა, ბანკირებმა, მეწაღეებმა, დალაქებმა და ა.შ და მითუმეტეს ჩვენ ჟურნალისტებმა, თუ ამაზე ხმა არ ავიმაღლეთ, თუ ეს დღეს გვემახსოვრება და ხვალ აღარ, საშინელ სურათს ვნახავთ ბოლოს, რომელიც უკვე იხატება.

ხალხი არის ძალა და ძალას შეუძლია დედამიწის ტრიალი შეაჩეროს, არასწორი, ბოროტული და მკვლელობით გაჟღენთილი ტრიალი. გვეყო, საკმარისად ვიყავით ჩუმად!

ნუ დავარქმევთ ამას სტატისტიკას!“- წერს თავის ფეისბუქ გვერდზე ქართველი ჟურნალისტი ლევან ფანცხავა. მის პათოსს იზიარებს ბევრი ქართველი მამაკაცი, თუმცა, ამის მიუხედავად კვლავ კლავენ დედებს, დებს, ცოლებს...

ქალთა დღესასწაულების ფონზე ამ დღეებში მომხდარი მკვლელობების სტატისტიკა კიდევ უფრო საგანგაშოა.

ბევრმა მაინც არ იცის, რას ნიშნავს ტერმინი “ფემინიზმი”, მის მიმართ არასწორი, ტაბუირებული დამოკიდებულებაა. დამახინჯებული, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ინფორმაციები კი თავისთავად აფერხებს საზოგადოების განვითარებას ნებისმიერი საკითხის მიმართ. გამონაკლისი არც ფემინიზმია.

### 1. ისტორია

1791 წელი –”ქალისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია”– “თუ ქალს აქვს გილიოტინაზე ასვლის უფლება, მაშინ მას უნდა ჰქონდეს ტრიბუნაზე ასვლის უფლებაც”.

ფემინიზმი - ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია ქალებისთვის ყველანაირი სამოქალაქო უფლების მინიჭება.

პირველი ფემინისტური აზრები ძველ ჩინეთში ჩნდება, თუმცა ფართო ხასიათი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა მან ზემოხსენებული დეკლარაციის პერიოდში მიიღო, რომელიც ითვალისწინებდა ქალებისთვის არჩევნებში ხმის და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას.

პერიოდულად ამ მოძრაობამ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო, თუმცა ტერმინი “ფემინიზმი” პირველად 1895 წელს გაისმა და ნიშნავდა მოძრაობას ქალების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების, პატრიარქალური წყობის, მამაკაცების უალტერნატივო დომინირების წინააღმდეგ.

არასრული იფნორმაციის გამო, ბევრი ფიქრობს, რომ ფემინიზმი შექმნილია მამაკაცების დისკრიმინაციის მიზნით, არადა, ამასთან მას საერთო არაფერი აქვს. ამ მიმდინარეობის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ შეწყდეს ქალების ჩაგვრა პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვა სფეროში, რომ მოხდეს ქალების ემანსიპაცია (გათავისუფლება ვისიმე დაქვემდებარებიდან და თანასწორი უფლების მიღება).

ბედნიერება კი (ყველა სხვა დანარჩენთან ერთად) პიროვნულ თავისუფლებაშია.

ნუ ჩათვლით, რომ საკუთარი უფლებების აღიარება, საკუთარი თავის უფრო მაღალ საფეხურზე აწევა თქვენს პირად ცხოვრებას დაემუქრება.

თუ თქვენ არ დაინახავთ საკუთარ თავში უფრო მეტს, ვიდრე ახლა ხართ, თუ თქვენ არ გაიზრდებით და დარჩებით მხოლოდ მოსიყვარულე მეუღლედ, რომელიც ხმამაღლა თავის აზრს ვერასდროს გამოთქვამს, იცოდეთ, რომ თქვენ აგივრად ამას არავინ გააკეთებს.

ძალიან ბევრი ცნობილი და წარმატებული ქალი (სხვათა შორის მამაკაციც) იზიარებს ფემინისტურ იდეოლოგიას. მაგალითად, მაჰათმა განდი, რომელმაც თავისი რეფორმების გატარება სწორედ ქალთა უფლებების წინ წამოწევით დაიწყო, კლარა ცეტკინი, დემი მური და სხვა მრავალი.

მეც ფემინისტი ვარ და მაქვს უფლება საჯაროდ გამოვხატო ჩემი აზრი.

მე ფემინისტი ვარ და მაქვს უფლება ვაკეთო საყვარელი საქმე.

მე ფემინისტი ვარ და მაქვს უფლება ვიყო არა მხოლოდ ქალი, არამედ პიროვნება.

მე ფემინისტი ვარ და მაქვს უფლება მივიღო მონაწილეობა ნებისმიერ საზოგადოებრივ მოვლენაში.

მე ფემინისტი ვარ და მაქვს უფლება თავი ვალდებულად ჩავთვალო, რომ გითხრათ, იყავით ის, რაც გინდათ, რომ იყოთ,

აკეთეთ ის, რაც გინდათ, რომ აკეთოთ, არ შეიზღუდოთ, არ დაიჩაგროთ.

და ბოლოს...

მე ქალი ვარ და მე მაქვს უფლება, ვიყო ფემინისტი, ვაღიარებდე საკუთარ უფლებებს და პატივს ვცემდე საკუთარ თავს, სურვილებს და შესაძლებლობებს.

1909 წელს რვა მარტი სწორედ ემანსიპირებულ და საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლ ქალებს მიეძღვნათ და არა უბრალოდ ქალებს, რომელთა „მოხმარებაც“ ან დეკორატიული ფუნქციით გამოყენება კარგი “პონტია” და ღირსებას მატებს მას, ვინც ამის გაკეთებას მოახერხებს. ასევე მოგვიანებით, 1977 წელს გაერომ 32/142 რეზოლუციით ყველა ქვეყანას მოუწოდა 8 მარტი გამოცხადებულიყო ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის დღედ. ქალის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა არ იყოს მოხმარებული და დაჩაგრული საწინააღმდეგო სქესის მიერ.

ერთი სიტყვით, სანამ 8 მარტი ჩვენთვის მხოლოდ პრანჭიკელობის დღე იქნება ყოველგვარი ქმედითი ნაბიჯების გადადგმის გარეშე იმ ადამიანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომელთაც ის ეძღვნება, სანამ პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება ხელს არ შეუწყობს რიგით მოქალაქეებში გენდერული თანასწორობის შესახებ შეგნების ამაღლებას, მანამდე ნუ მივიჩნევთ თავს ცივილიზებულ ხალხად და ნუ მოვდგებით იმის მტკიცებას, რომ ქართველები დიდი კულტურის ხალხი ვართ და ჯერ კიდევ რუსთაველი ამბობდა „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო“. რა მერე, რომ ამბობდა?

***„შეკითხვაზე, თქვენი აზრით, რა უნდა მოიმოქმედოს კაცობრიობამ მომდევნო ათწლეულების მანძილზეო, მარკესმა უპასუხა: ადამიანთა მოდგმის გადარჩენის მხოლოდ ერთადერთ გზას ვხედავ - 21-ე საუკუნეში მთელი ძალაუფლება ქალებს უნდა გადაეცესო. მისი აზრით, მამაკაცებს არ შეუძლიათ საკუთარი კერძო ინტერესები გადადონ გვერდზე და გლობალური გადარჩენის საკითხებზე დაფიქრდნენ“ (რუბენ პელაიო. გაბრიელ გარსია მარკესი. თბ., ქართული ბიოგრაფიული ცენტრი 2011, გვ. 174).***

***მგონი, მარკესი კარგად იცნობდა ქალისა და კაცის ბუნებას.***

*მოამზადა*
ინგა შიოლაშვილმა

## კორონავირუსის გამო საქართველოში უცხოეთიდან ფულადი გზავნილები შემცირდება

***ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი მთავარი წილი, უცხოეთიდან ფულად გზავნილებს უჭირავს, რომელსაც ქართველი ემიგრანტები სხვადასხვა ქვეყნებიდან რიცხავენ. კორონავირუსის გამო კი, მას შემცირება ემუქრება. გადმორიცხვებით იტალია მეორე ადგილზეა, ამ ქვეყნაში კი ახალი ვირუსი ევროპაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული. 2020 წლის იანვარში საქართველოში შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 125,6 მილიონი (362,2 მილიონი ლარი) შეადგინა, რაც 8,6 პროცენტით მეტია 2019 წლის იანვრის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი რუსეთიდან განხორციელდა - 26,17 მლნ დოლარი. 21,06 მილიონი გადმოირიცხა იტალიიდან, საბერძნეთიდან კი - 14,87 მილიონი დოლარი. ჯამში ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში 52,45 მილიონი გადმოირიცხა.***

ჯერჯერობით, რუსეთში კორონავირუსის მასშტაბები დიდი არ არის და დადასტურებულად მხოლოდ ერთ ადამიანს აქვს, შესაბამისად, იქ ნაკლებია პანიკაც და საფრთხეც. თუმცა, მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებში, აქტიურად წერენ იმის შესახებ, რომ ირანის მსგავსად მონაცემებს აყალბებს რუსეთიც. რაც შეეხება გადმორიცხვის ოდენობით მეორე ქვეყნას იტალიას, იქ ეპიდემიამ ნამდვილად იფეთქა და ქვეყანაში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ 2263-ს მიაღწია. მარტო ერთ დღეში გარდაცვლილთა რაოდენობა 27-ით გაიზარდა და ამჟამად 79 კაცს შეადგენს. განკურნებულთა რაოდენობა კი მხოლოდ 11 კაცით გაიზარდა და 160 გახდა. გარდაცვლილები 55-დან 101 წლამდე ასაკის, ძირითადად, 70-80 წლის ხანდაზმულები არიან. შემთხვევები, ძირითადად ჩრდილოეთ იტალიაშია და შესაბამისად, როგორც ქვეყნის ამ ნაწილში, ასევე მთლიანად სახელმწიფოში, შესუსტებულია ეკონომიკური აქტივობაც... ნინა გელაშვილი, რომელიც წლებია იტალიის ქალაქ ბარიში ცხოვრობს, ამბობს, რომ ჯერჯერობით მის ქალაქში არ შეინიშნება კორონავირუსის მასობრივი გავრცელება, თუმცა უკვე იგრძნობა პანიკა და ვარაუდობს, რომ შემდეგ თვეებში იქ დასაქმებულთა შემოსავალიც შემცირდება.



“ფულად გზავნილებზე, რა თქმა უნდა, აისახება იმიტომ, რომ ქართველი ემიგრანტთა უმეტესი ნაწილი წასულია იტალიაში. თითოეული ემიგრანტი თითო ოჯახს არჩენს. ეპიდემია მთელ ქვეყანაში არ არის ჯერჯერობით გავრცელებული, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა დიდი საზოგადოებრივი ღონისძიება გადაიდო და ეს ადასტურებს, რომ პანიკაა. შემოღებულია კარანტინის ზომები, გადაადგილება გართულებულია, ემიგრანტებს ანგარიშსწორებაც გაურთულდებათ. არა მგონია, რომ უმეტესობას იქ ინტერნეტ ბანკი ჰქონდეს. სამწუხაროა, მაგრამ ემიგრანტთა უმეტესობა არალეგალია და შესაბამისად, ასეთ რესურსებზე წვდომა არ აქვს. მათი შემოსავლის შემცირების გარდა, პრობლემა იქნება იმის გადმორიცხვაც, რასაც გამოიმუშავებენ. გადმორიცხვებთან ერთად შემცირდება ტურიზმი იტალიის მიმართულებით და პირიქით... ვფიქრობ, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, უკან დაიხევს ეს ვირუსი. თუმცა, პანიკა კიდევ ორ კვირას მაინც გასტანს. ეს ეკონომიკას დიდ ზარალს აყენებს”, - აცხადებს პაატა აროშიძე.

## „უსასრულობას არ აქვს ნაპირი“...

თბილისის რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა მომღერლისა და კომპოზიტორის ქეთი გაბისიანის შმოქმედებითი საღამო, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. საღამოს თავად ქეთი უძღვებოდა, მან უღრმესი მადლობა გადაუხადა მაყურებელს იმისთვის, რომსამ დღეში ყველა ბილეთი გაიყიდა. დამსწრე საზოგადოებას წარმოგვიდცინა ბენდი: პაატა ნადირაძე, დათო ჯაფარიძე, ირაკლი მენთეშაშვილი, ზაზა ცერცვაძე, ხონძი, ლევან დეისაძეე, პიანისტები 20 წლის ლუკა თოფურია და უმშვენიერესი ნინო გულიასვილი.

შემოქმედებით საღამოზე მონაწილეობდნენ ცნობილი მუსიკოსები და მომღერლები, დიდი წარმატება ხვდა წილად გიორგი ცაგარელის კომპოზიციას, რომელსაც აკომპანიმენტს თავად კომპოზიტორი უწევდა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სოლო შემსრულებლები: ნინო ქათამაზე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ნუკრი კაპანაძე, ნეკა სებისკვერიძე , გიორგი კელაპტრიშვილი, ქეთის კომპოზიციით წარსდგნენ დუეტები სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი, აჩიკო ნიჟარაძე და ნათია ტოგონიძე, ჯგუფი „ქვინ თესენსი“, სწორედ ამ ჯგუფისტვის ქეთი წერდა საბავშვო სიმღერებს- და სხვადასხვა კონკურსებში იმარჯვებდნენ. დიდი მოწონება ხვდა წილად თეატრალურ კვარტეტს და შვიდკაცაას.

კომპოზიტორმა დიდი მადლობა გადაუხადა ნანა ცინცაძეს და ირინა სანიკიძეს, რომელთა ლექსებზეც შეიქმნა მისი ცნობილი ჰიტები- „უსასრულობას არ აქვს ნაპირი“, „დღეს ღამე ცვლის“, „სიყვარული არის ძნელი“ და სხვა.

საღამოს რეჟისორი გახლდათ ბაკურ ბაკურაძე თითოეულ მუსიკალურ ნომერს ხანგრძლივი აპლოდისმენტები სდევდა თან.

ნანა ქიქინაძე

# კორონავირუსის პრევენციაზე იმსჯელეს

***კორონავირუსმა საქართველოშიც შემოაღწია. ამიტომ სახელისუფლებო სტრუქტურებში აცხადებენ, რომ ვირუსთან საბრძოლველად მზად არიან და პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტებში საკოორდინაციო ჯგუფებს ქმნიან.***

დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატის, ირაკლი შიოლაშვილისა და მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით მერიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

თათბირს სტრუქტურული ერთეულების, საგანმანათლებლო რესურსცენრტის, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც ორგანიზებას COVID-19-ის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს გაუწევს. სამუშაოების ფარგლებში ანტისეპტიკური საშუალებებით დამუშავდება მუნიციპალიტეტის საალმზრდელო, სასწავლო და საჯარო დაწესებულებები, მოხდება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და სხვა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება რეგიონებთან კოორდინირებულ რეჟიმში COVID-19-ის ეფექტურ პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებს და ქვეყანაში პანიკის საფუძველი არ არსებობს.

ამის მიუხედავად, თითოეულმა მოქალაქემ სამთავრობო უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციები მკაცრად უნდა დაიცვას.



რეგიონის მასშტაბით, 2 მარტიდან 16 მარტამდე - საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში, სასწავლო და საალმზრდელო დაწესებულებებში სადეზინფექციო ღონისძიებები ეტაპობრივად ჩატარდება.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ხელმძღვანელობით რეგიონში შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფი მუდმივ სამუშაო რეჟიმში დარჩება და კოორდინირებას გაუწევს საპროფილაქტიკო ღონისძიებების გატარებას.

**„დღეს, გვქონდა გაფართოებულ რეჟიმში საკოორდინაციო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ვიმყოფებით მუდმივ კოორდინაციაში, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ვმოქმედებთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის მიერ გაცემული კონკრეტული მეთოდოლოგიისა და მითითებების გათვალისწინებით“** - აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კახეთის სამმართველოს უფროსმა ნელი ხიზანიშვილმა შეხვედრაზე რეგიონის მასშტაბით, არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ

საკარანტინო სივრცე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით, მოძიებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ამოქმედდება.

სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, კახეთის რეგიონში, თავშეყრის ადგილების თავიდან აცილების მიზნით, 3 და 8 მარტის მასშტაბური, სადღესასწაულო ღონისძიებები არ ჩატარდება.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში უკვე ამოქმედებულია საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფები მხარის რწმუნებულების ხელმძღვანელობით. სამუშაო ჯგუფებს კოორდინაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში სოზარ სუბარი უწევენ.

# „მკვლელი ვირუსები“ და მსოფლიო გამოცდილება

პირველი მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. ომის მონაწილეები, ვინც სიკვდილს გადაურჩნენ, ნაომარ ჭრილობებს იშუშებდნენ, ქვეყნები კი ეკონომიკური კრიზისის დაძლევას ლამობდნენ. თითქოს ეს საკმარისი არ იყო, ახალი განსაცდელი მოევლინა კაცობრიობას. „ისპანკამ“ საქართველოშიც შემოაღწია. ბევრი ოჯახი გამწარდა.

გაბრიელი მთაში ცხოვრობდა. ულამაზესი ნათელა „ხატობაში“ გაიცნო. მოეწონა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არა მარტო მისი ყურადღება მიეპყრო, არამედ გულიც დაეპყრო... ცოტა ხანში დაოჯახდნენ, შვილებიც ეყოლათ. მერე „ისპანკა“ გაჩნდა და ყველა წაართვა...იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა. უკანასკნელი შვილის ცხედარი მარტომ წაათრია მარხილით წელამდე თოვლში, მარტომ ამოთხარა საფლავი და მარტომ დამარხა. სოფელს ისე ეშინოდა, ახლოს ვერავინ ეკარებოდა.

ასე მარტო რჩებოდა ყველა, ვის ოჯახსაც ეპიდემია „შეეხიზნებოდა“. ეს არ იყო მხოლოდ რამდენიმე ოჯახისა თუ ქვეყნის პრობლემა. ის დროდადრო მთელ ევროპას გადაუვლიდა ქარიშხალივით კეთრის, ქოლერის, ტუბერკულოზის, ტიფისა თუ სხვა სახელით და მილიონობით სიცოცხლესთან ერთად გადარჩენისა და მშვიდად ცხოვრების იმედსაც ანადგურებდა...

ოცდამეერთე საუკუნეში ალბათ ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს ახალი „შავი ჭირი“, ვირუსი სახელად COVID-19 გეომეტრიული პროგრესიით გავრცელდებოდა და უამრავ ადამიანს თავზარს დასცემდა, უმწეობის განცდასთან ერთად სიკვდილის შიშს ჩაუსახავდა...

2020 წელი მსოფლიოსთვის ვირუსთან ბრძოლით დაიწყო. ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი ვებგვერდის მონაცემებით, საქართველოში ინფიცირებულთა რაოდენობა 9-მდე გაიზარდა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ბრიფინგზე თქვა, რომ ხუთივე ახალი შემთხვევა დაკავშირებულია იტალიასთან. ყველა მათგანის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ისინი 5 მარტს მოათავსეს ინფექციურ საავადმყოფოში.

გამყრელიძემ დააზუსტა, რომ პაციენტები, რომლებსაც ახლა დაუდასტურდა კორონავირუსი, იმ 44 წლის მამაკაცის ახლობლები არიან, ვისაც ინფექცია 5 მარტს დაუდგინდა. „ეს გახლავთ ე.წ. ერთი კლასტერი ანუ ერთმანეთთან დაკავშირებული შემთხვევები. ძირითადად ოჯახური შემთხვევები, რომლებიც ერთად გახლდნენ იტალიაში და კვირას დაბრუნდნენ საქართველოში”, - განაცხადა ამირან გამყრელიძე.



როგორც გამყრელიძემ თქვა ზოგიერთი კონტაქტი შეფასდა, როგორც შესაძლებელი შემთხვევა და მათგან აიღეს შესაბამისი ნიმუშები. შედეგად ლუგარის ლაბორატორიაში გამოკვლევამ ხუთ მათგანზე დადებითი შედეგი აჩვენა.

კორონავირუსის სიმპტომებია: ცხელება, ხველა, ქოშინი და სუნთქვის გაძნელება. ინფექცია იწვევს პნევმონიას, მწვავე რესპირატორულ სინდრომს და თირკმელების უკმარისობას. მსოფლიოს ვირუსებთან გამკლავება აქამდეც ხშირად უწევდა, ზოგიერთი მასშტაბურად გავრცელდა და მსხვერპლიც დიდი მოჰყვა.

ჩვენ გადავხედეთ მე-20 და 21-ე საუკუნეში გავრცელებულ ვირუსებს, რომელთაც მსოფლიოს გლობალური საფრთხე შეუქმნეს.

### „ესპანური ვირუსი“ („ისპანკა“)

1918 წლის სექტემბერში, იმხანად უცნობი ვირუსის გავრცელებით კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი პანდემია დაიწყო, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დღეს მას „ესპანური ვირუსის“ სახელით ვიცნობთ, რომელიც თანამედროვე მსოფლიოსთვის კარგად ცნობილი “ღორის გრიპის” გენეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

არსებული მონაცემებით, “ესპანურმა ვირუსმა”, სავარაუდოდ, უფრო მეტი ადამიანი შეიწირა, ვიდრე პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა ერთად. მისი გავრცელების ზუსტი პირველი წყარო დღემდე უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ ის ამერიკის ერთ-ერთ სამხედრო დანაყოფში გაჩნდა და შემდეგ მთლიან ევროპას მოედო. მსოფლიოს მასშტაბით ვირუსით 550 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა, რაც დედამიწის იმჟამინდელი მოსახლეობის დაახლოებით 29,5%-ს შეადგენდა.

სასიკვდილო ვირუსს, არაოფიციალური მონაცემებით, 16 კვირაში 50 მილიონზე მეტი ადამიანი შეეწირა. მისი გავრცელების პერიოდში მსოფლიოში ვირუსებთან ბძოლისთვის უკვე არაერთი ვაქცინა იყო შექმნილი, თუმცა „ესპანურ ვირუსს“ ვერცერთი გაუმკლავდა, მოგვიანებით მოხერხდა და „ესპანური ვირუსის“ შესაბამისი ვაქცინაც შეიმუშავეს.

### “აზიური ვირუსი”

1957 წელს მსოფლიოში კიდევ ერთი ვირუსი გავრცელდა. თავდაპირველად მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ის „ესპანური ვირუსის“ მსგავსი იყო, თუმცა გენეტიკური გაშიფვრის შემდეგად მას “2N2” დაარქვეს და ის ახალი ვირუსის სახელით შევიდა ისტორიაში. საყოფაცხოვრებო დონეზე კი „აზიურ ვირუსად“ მოიხსენებდნენ. არსებული ინფორმაციით, მისი გავრცელების პირველი წყარო გარეული იხვი ან სხვა გარეული ფრინველები უნდა ყოფილიყო. ვირუსი ელვის სისწრაფით მოედო სინგაპურს, ჰონკ კონგსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მარტო ამერიკაში 69 800 მოქალაქე შეეწირა ვირუსს, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობამ კი 2 მილიონს მიაღწია. მეცნიერებმა ვირუსის მეორე ტალღის აგორებამდე „აზიური გრიპისთვის“ შესაბამისი ვაქცინა გამოიგონეს და მისი მკურნალობის მეორე მეთოდს - ანტიბიოტიკებსაც მიაკვლიეს.

### „ზიკას ვირუსი“

ზიკას ვირუსი ეს არის გლავივირუსთა ჯგუფის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ტროპიკულ ციებასა და ყვითელ ციებ-ცხელებას მოიცავს. ვირუსი პირველად 1960-80-იან წლებში აფრიკის, ამერიკისა და აზიის ტერიტორიაზე გაჩნდა, ამ პერიოდში ჯანმრთელობის სერიოზული გართულების და ეპირდემიის საფრთხე არ იყო, თუმცა ჩატარებული ანალიზებით დადგინდა, რომ ვირუსის მატარებელი გენი აფრიკის ამერიკისა და აზიის მოსახლეობის დიდ ნაწილს ჰქონდა.

2007 წელს ვირუსის ხელმეორე ტალღა დაიწყო წყნარი ოკეანის კუნძულ იაპიზე. ამ წელს კუნძულის 3 წლის ასაკის ზემოთ მოსახლეობის 70%-ზე მეტი დაინფიცირდა, ვირუსი განსაკუთრებით სარისკო ორსული ქალებისთვის იყო. პირველ ჯერზე დაინფიცირდა 14 ადამიანი შემდეგ კი ეს რიცხვი 5000-მდე გაიზარდა.

2013 წელს კი ზიკას კიდევ ერთმა ტალღამ საფრანგეთსა და მის შემოგარენში იფეთქა, დაინფიცირდა 30 000 ადამიანი. ზიკას ვირუსი „ედეს“ გვარის კოღოს გადაჰქონდა, ისინი ნაკბენით აინფიცირებდნენ სისხლის უჯრედებს და ერთი დაინფიცირებული ადამიანის კბენა 5 სხვა ადამიანს აინფიცირებდა, დაინფიცირების შემთხვევა მძიმე იყო მცირეწლოვან ბავშვებსა და ორსულებში, რადგან სიმპტომები უფრო მწვავედ და ხანგძლივად ვლინდებოდა.

2016 წლის იანვარში ვირუსი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და წყნარი ოკეანის კუნძულებს მოედო. ზიკას სიმპტომები იყო, გამონაყარი, მაღალი ტემპერატურა და სახსრების ტკივილი, რომელიც 2-დან 7 დღემდე გრძელდებოდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2016 წელს 18 ნოემბერს ზიკას ვირუსი გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა.

### მარბურგის ვირუსი – „ჰემორაგიული ცხელება“

მიუხედავად იმისა, რომ მარბურგის ვირუსი გავრცელებულია ყველაზე მეტად აფრიკაში, ის პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში ევროპაში, კერძოდ გერამნიის ქალაქებში - მარბურგსა და ფრანკფურტში დააფიქსირეს, ასევე ერთ ადამიანს იკვლევდნენ იმჟამინდელი იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადშიც. მისი ძრითადი სიმპტომები: მაღალი ტემპერატურა, თავის, სახსრებისა და ყელის ტკივილი, დიარეა და პირღებინება იყო. მაღალინფექციურია და გადამდები ადამიანიდან ადამიანზე ბიოლოგიური სითხეების, დაბინძურებული ნივთების და ნემსების მეშვეობით. მისი გავრცელება ევროპაში „მცირე ეპიდემიის“ სახით შევიდა ისტორიაში. ვირუსი მორფოლოგიურად ენათესავება ებოლას.

ვირუსი 21-ე საუკუნის მიჯნაზე ხელახლა გავრცელდა, ამჯერად აფრიკის კონტინენტზე და ის ამ საუკუნის ერთ-ერთ საფრთხის შემცველ ვირუსად დასახელდა. კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მარბურგის ვირუსით 154 დაინფიცირების შემთხვევიდან 128 გარდაცვალებით დასრულდა. 2004 წელს მარბურგის ვირუსით კიდევ 252 ადამიანი დაინფიცირდა. დღესდღეობით მასთან საბრძოლველი ანტივირუსული თერაპია ან ვაქცინა არ არსებობს, თუმცა ებოლას ინტენსიური კვლევისა და მისი საწინაალმდეგო მკურნალობის შემუშავების პროცესში, მარბურგის ვირუსთან გამკლავებაც უფრო ეფექტიანი გახდა.

*/დასასრული გვ.7/*




# კარანტინი, თვითიზოლაცია, კონტაქტები , სად და როგორ „იჭერენ“ კორონავირუსს

საქართველოში კორონავირუსის ერთ-ერთი შემთხვევა დაუდასტურდა ადამიანს, რომელსაც დაავადების სიმპტომები საზღვარზე არ ჰქონდა, თუმცა რამდენიმე დღეში თვითიზოლაციაში მყოფს აღმოაჩნდა.

თუ ადამიანს რისკის ჯგუფიდან ჩაუტარდა კორონავირუსზე კვლევა, მაგრამ შედეგი უარყოფითი აღმოჩნდა, ის 14 დღე მაინც უნდა დარჩეს იზოლაციაში. ესაა ვადა, რაც სჭირდება იმას, რომ საბოლოოდ გამოირიცხოს ახალი კორონავირუსით ინფიცირება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, ვირუსთან გასამკლავებლად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური გზა პრევენციაა, რისი ნაწილიცაა სწორად წარმოებული თვითიზოლაციაც.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პაატა იმნაძემ საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც ზედმიწევნით დაიცვა წესები მაღალი პასხუხიმგებლობისთვის მადლობა საჯაროდ გადაუხადა და იქვე დაამატა:

**“[მაღალი რისკის გამო] თუ ვინმეს იტალიიდან ჩამოსულს არ აქვს შეგნება, რომ ორი კვირის განმავლობაში იყო თვითიზოლაციაში, მე მოვუწოდებ სხვებს, მის დამსაქმებლებს, ახლობლებს, მოერიდონ ასეთ ადამიანებს”.**

იმ შემთხვევაში, თუ კი ვირუსიანმა ადამიანმა ან არცოდნის ან დაუდევრობის გამო არ შეიზღუდა კომუნიკაცია, აუცილებელი ხდება ყველა იმ ე.წ. კონტაქტის დადგენა, ვისთანაც ინფიცირებულ პაციენტს შეხება ჰქონდა.

- ვინ არიან ე.წ. კონტაქტები
- ე.წ. კონტაქტი დადგენილია, რა ხდება ამის შემდეგ
- როგორ ხდება თვითიზოლაცია
- რა ხდება კარანტინში

### ვინ არიან ე.წ. კონტაქტები

ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ვირუსის დადგენამდე მინიმუმ 15 წუთის განმავლობაში კონტაქტი ჰქონდა ინფიცირებულ პაციენტთან ე.წ. კონტაქტია. “კონტაქტებს” სამედიცინო პერსონალი პაციენტის გამოკითხვითა და გადაადგილების მარშრუტით ადგენს.

საზღვარზე თავდაპირველად, თერმულად მოწმდება ყველა ის ადამიანი, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში მაღალი რისკის შემცველ ქვეყნებში მოგზაურობდა ან შეხება ჰქონდა ინფიცირებულ ადამიანთან.

“თერმული შემოწმების შემდეგ, ქვეყანაში შემოსული პირები ავსებენ სპეციალურ კითხვარს, რომლითაც დგინდება არიან თუ არა ეს ადამიანები “კონტაქტები”, - განაცხადა ჯანდაცვის სამინისტროს ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ეკა ადამიამ.

### ე.წ. კონტაქტი დადგენილია, რა ხდება ამის შემდეგ

ყველა “კონტაქტს” უტარდება სისხლისა და ნაცხის ანალიზი, რომლითაც უნდა დადასტურდეს ან გამოირიცხოს კორონავირუსი. ლუგარის ლაბორატორიიდან პასუხის მიღებამდე ყველა მათგანი ე.წ. ბოქსირებულ განყოფილებებში არიან.

თუ კვლევა აჩვენებს, რომ პირი ინფიცირებულია, ის ექიმების დაკვირვების ქვეშ კარანტინში ხვდება. სხვა შემთხვევაში, ის 14 დღით თვითიზოლაციაში მიდის, თუ ამის პირობები აქვს, თუ არა – საკარანტინო სივრცეში რჩება.

### როგორ ხდება თვითიზოლაცია

თვითიზოლაციის სურვილის გამოთქმის შემთხვევაში ჯანდაცვის სამინისტროს შეუძლია პოტენციურ პაციენტს სახლამდე ტრანსპორტირებაში დაეხმაროს. უნდა შემოწმდეს იზოლაციისთვის შერჩეული საცხოვრებელი გარემო. ე.წ. კონტაქტი სახლში განცალკევებულა ოთახში უნდა იყოს და შეხება არ ჰქონდეს სხვა პირებთან. სასურველია, არ იყოს საერთო სარგებლობის აბაზანა და ტუალეტი ძლიერი ვენტილაციის სისტემით.

“რეკომენდაციაში არ წერია, რომ სავალდებულოა ცალკე აბაზანა-ტუალეტის არსებობა. [საერთო აბაზანის] გამოყენების შემდეგ უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარებით”, - განმარტავს ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

თუ მას არ ექნება ტრანსპორტის საშუალება, ჯანდაცვის სამინისტრო გადაადგილებას უზრუნველყოფს.




მისივე თქმით, თუ ე.წ. კონტაქტს ოჯახის წევრებთან ურთიერთობა ექნება, უნდა დაიცვას, მინიმუმ ერთი მეტრის, დისტანცია, ეკეთოს პირბადე და ეცვას ბახილები. საჭმელი ოჯახის წევრებმა უნდა მიაწოდონ უსაფრთხოების წესების დაცვით და შემდეგ ჭურჭელი გაანადგურონ.

“თვითიზოლაციის შემთხვევაში ხდება ამ ადამიანების ჩვენი მხრიდან მონიტორინგი. მას სახლში აკითხავს ეპიდემიოლოგი იმიტომ, რომ აკონტროლოს მისი სიცხე ან თვითონ იწერს მონაცემებს. თუ დაფიქსირდება ტემპერატურის მატება, იძახებს ბრიგადებს და გადაყვანილი იქნება შესაბამის ადგილზე შემდგომი კვლევისთვის”, - ამბობს ეკა ადამია.

თვითიზოლირებულ მოქალაქეების სახლებთან დაცვა არ დგას და სრულიად მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამოკიდებული ექნებათ თუ არა შეხება სხვა პირებთან.

თუ გაირკვა, რომ ე.წ. კონტაქტის საცხოვრებელი გარემო არ აკმაყოფილებს თვითიზოლაციისთვის საჭირო მოთხოვნებს ან მას აქვს კარანტინში მოხვედრა, ის სახელმწიფოს მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე გადაჰყავთ.

### რა ხდება კარანტინში?

***ე.წ. კონტაქტს საკარანტინე ადგილის არჩევა არ შეუძლია. მას სახელმწიფო შეარჩევს იმის მიხედვით, სადაც აქვს ადგილი. კარანტინისთვის სულ 6 სივრცეა გამოყოფილი აბასთუმანში, საჩხერეში, თბილისსა და გორში. ეს არის სასტუმროს ტიპის შენობები, სარეაბილიტაციო თუ სამედიცინო დაწესებულებები.***

სახელმწიფოს კარანტინში მყოფი ერთი პირის შენახვა საშუალოს 50-დან 70 ლარამდე უჯდება.

როგორ ჯანდაცვის სამინისტრო განმარტავს, თუ ერთი ოჯახი უნდა მოთავსდეს კარანტინში, არსებობს რეკომენდაცია, რომ საერთო სივრცეში იცხოვრონ.

“მათ ემსახურება პერსონალი, აწვდიან საჭმელს, ხდება მათი თერმომონიტორინგი და ოთახების დასუფთავება. ჭურჭელი მოხმარების შემდეგ უნდა დაექვემდებაროს განადგურებას. თუ გამოიკვეთა სიცხე ხდება მათთვის ანალიზის ჩატარება”, - ამბობს ადამია.

### თვითიზოლაციის წესები

ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები და თქვენი პირადი ექიმები შეთანხდნენ, რომ დარჩებით სახლში თვითიზოლაციაში ა) თქვენს მიერ დაზარალების რეგიონის დატოვებიდან და/ ან ბ) **COVID**-19 ის მქონე ადამიანთან უკანასკნელი კონტაქტიდან, 14 დღის განმავლობაში. თქვენი ზოგადი მდგომარეობა არ საჭიროებს საავადმყოფოში გადაყვანას, ამავდროულად საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ ვალდებული ხართ დაიცვათ ის წესები, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი.

**1. დარჩით სახლში თქვენ, ან მურვეობის ქვეშ მყოფი ადამიანი, უნდა დარჩეთ სახლში, იმ შემთხვევის გარდა, თუ საჭიროებთ სამედიცინო დახმარების მიღებას (სამედიცინო დახმარების მიღებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები იხილეთ მე-3 და მე-8 პუნქტებში). ნუ წახვალთ სამსახურში, სკოლაში, ან საზოგადოებრივ ადგილებში, ნუ გამოიყენებთ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ან ტაქსებს, სანამ არ მიიღებთ ინფორმაციას, რომ ამის გაკეთება უსაფრთხოა ან სანამ არ გავა უკვე ხსენებული ვადა (14 დღე). თუ დაგჭირდებათ სურსათი, სხვა საყიდლები ან მედიკამენტები, დახმარება სთხოვეთ სხვა ადამიანებს. გარდა ამისა, საყიდლები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონით ან ინტერნეტით. მიწოდების ინსტრუქციაში უნდა აღინიშნოს, რომ საყიდლები უნდა დარჩეს გარეთ, კარებთან, ან, ისე, როგორც ეს შესაფერისია თქვენი სახლისთვის. 2. ნუ გექნებათ კონტაქტი ოჯახის წევრებთან*/განცალკევდით თქვენს სახლში სხვა ადიანებისგან თუ მარტო არ ცხოვრობთ, მოთავსდით ცალკე, იზოლირებულ ოთახში, სადაც კარგი ვენტილაცია და ფანჯარა, რომელიც იღება. დახურეთ კარი. გამოიყენეთ ცალკე აბაზანა, თუ ეს შესაძლებელია. თუ ამის საშუალება არ არის, აუცილებელია რეგულარული გაწმენდა. თუ ცალკე სველი წერტილი არ არის ხელმისაწვდომი - რიგრიგობით უნდა იყოს გამოყენებული, ანუ თვითიზოლაციაში მყოფმა პირმა სველი წერტილი ბოლომ უნდა გამოიყენოს, და შემდეგ ისევ კარგად გაიწმინდოს. თვითიზოლაციაში მყოფი პირი უნდა იყენებდეს პირსახოცებს (ხელის, სხეულის), რომელსაც ოჯახის სხვა წევრები არ გამოიყენებენ. თუ ცხოვრობთ საერთო საცხოვრებელში (საუნივერსიტეტო საცხოვრებელ ოთახში ან მსგავს ფართში) საერთო სამზარეულოთი, სველი წერტილებით და საცხოვრებელი ფართით, უნდა დარჩეთ თქვენს ოთახში, დახუროთ კარი და ოთახიდან გამოხვიდეთ პირბადით, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. თუ საერთო სამზარეულო გაქვთ (მაგალითად საუნივერსიტეტო საცხოვრებელ ოთახში ან მსგავს ფართში) შეძლებისდაგვარად, თავიდან აიცილეთ სამზარეულოს გამოყენება, სანამ იქ სხვა ადამიანები იმყოფებიან. თუ ეს შეუძლებელია - გაიკეთეთ პირბადე. შეიტანეთ თქვენი საჭმელი თქვენს ოთახში და იქ მიირთვით. გამოიყენეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თქვენს მიერ გამოყენებული ჭურჭლისა და დანა-ჩანგლის განცალკევებულად გარეცხვისა და გაშრობის მიზნით. თუ ეს შეუძლებელია, გარეცხეთ ისინი ხელით, სარეცხი საშუალებით და თბილი წყლით და კარგად გააშრეთ, ცალკე პირსახოცის გამოყენებით. თუ ამ რეკომენდაციების შესრულება შეუძლებელია, სახლში თვითიზოლაცია არ უნდა მოხდეს. 3. ექიმთან მისვლამდე გაიარეთ სატელეფონო კონსულტაცია სამედიცინო დაწესებულებაში ყველა თქვენი ვიზიტი წინასწარ უნდა შეთანხმდეს თქვენს ექიმთან; მისვლამდე წინასწარ დაურეკეთ მას. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ საავადმყოფოში ან სამედიცინო დაწესებულებაში გაატარონ შესაბამისი ზომები, რომ შეამცირონ სხვა ადამიანებთან თქვენი კონტაქტი. 4. მითითების შესაბამისად გაიკეთეთ ნიღაბი გაიკეთეთ ნიღაბი, როდესაც იმყოფებით ოთახში სხვა ადამიანებთან ერთად, და ასევე როდესაც მიდიხართ სამედიცინო დაწესებულებაში. თუ თქვენ ვერ ატარებთ ნიღაბს, მაშინ ნიღაბი უნდა გაიკეთოს თქვენმა ოჯახის წევრებმა, როდესაც ერთ ოთახში იქნებით. 5. ხველის ან ცემინების დროს პირზე აიფარეთ ერთჯერადი ცხვირსახოცი დახველების ან ცემინების დროს პირზე აიფარეთ ერთჯერადი ცხვირსახოცი. გამოყენებული ცხვირსახოცები მოათავსეთ ცელოფნის პარკში (იხ. ქვემოთ პუნქტი 10, ნარჩენების მართვა) და დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, შემდეგ კარგად გაიშრეთ. მომვლელებმა უნდა დაიბანონ ხელები, ასევე დაეხმარონ იმ პირს, რომელსაც ისინი უვლიან - დაუყოვნებლივ გადააგდონ გამოყენებული ერთჯერადი ცხვირსახოცი. 6. დაიბანეთ ხელები დაიბანეთ ხელები და დაეხმარეთ იმ პირს, რომელსაც უვლით. ხელები დაიბანეთ ხშირად და საფუძვლიანად საპნითა და წყლით, მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, და შემდეგ კარგად გაიშრეთ. იგივე წესი ეხება ყველას, ჩართულია თვითიზოლირებული ადამიანის მოვლაში ან მომსახურებაში. თუ ხელი არ გაქვთ დაბანილი, არ შეეხოთ თვალებს, ცხვირს და პირის. 7. არ გამოიყენოთ საზიარო საყოფაცხოვრებო საგნები არ გამოიყენოთ საზიარო თეფშები, ჭიქები, ჭურჭელი, პირსახოცები, თეთრეული ან სხვა ნივთები; იგივე წესებს მიჰყევით, თუ უვლით სხვა ადამიანს. ნივთები გამოყენების შემდეგ, კარგად გარეცხეთ ისინი საპნითა და წყლით; თუ გაქვთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა გამოიყენეთ ის ჭურჭლისა და დანა-ჩანგლის გასარეცხად. გასარეცხი ტანსაცმელი, თეთრეული და პირსახოცები უნდა მოთავსდეს ცელოფნის პარკში და მათი რეცხვა უნდა მოხდეს განცალკევებით. 8. შეძლებისდაგვარად დააკვირდით თქვენს სიმპტომებს (ან იმ პირის სიმპტომებს, რომელსაც უვლით) დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თუ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდება, მაგალითად, თუ გიჭირთ სუნთქვა, ან თუ იგივე დაემართა იმ ადამიანს, რომელსაც უვლით. თუ ეს გადაუდებელი არ არის, ჯერ დაურეკეთ თქვენს დანიშნულ სამედიცინო საკონტაქტო პირს, თქვენთვის მიწოდებულ ნომერზე. თუ სიტუაცია გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს და სასწრაფოს გამოძახება მოგიწევთ, აცნობეთ ოპერატორს, რომ თქვენ იმყოფებით თვითიზოლაციაში (იგივე პრინციპი გამოიყენეთ, თუ საქმე ეხება იმ ადამიანს, რომელსაც უვლით). 9. ნუ მიიღებთ სტუმრებს თქვენს ბინაში, სახლში უნდა დარჩნენ მხოლოდ ის ადამიანები,**

*/გაგრძელება გვ. 5/*

# საკანონმდებლო ცვლილებები ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოებაში



ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის კონკურენტუნარიანი ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოების მიზნით, არსებულ საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებები შევიდა.

კერძოდ, ღვინისა და ასევე ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების წარმოების ტექნიკურ რეგლამენტებში შესული ცვლილებები სხვადასხვა პარამეტრების თანაფარდობის განსაზღვრას ითვალისწინებს, რაც მნიშვნელოვანია შესაძლო ფალსიფიცირების გამოსავლენად.

მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახშირბადის სტაბილური იზოტოპის თანაფარდობაზე შემოწმება. კერძოდ, ალკოჰოლიანი სასმელების წარმომავლობის დასადგენად, უმთავრესია ნახშირბადის იზოტოპების C13 და C12 თანაფარდობის განსაზღვრა. სწორედ ამ კონკრეტული იზოტოპების თანაფარდობის შედეგზე დაყრდნობით, შესაძლებელია განისაზღვროს პროდუქცია არის თუ არა ყურძნისეული წარმოშობის, რაც იძლევა ფალსიფიკაციის გამოვლენის შესაძლებლობას. ალკოჰოლური სასმელების ნახშირბადის სტაბილური იზოტოპის თანაფარდობაზე შემოწმება ღვინის

...აგენტომ 2019 წლიდან დაიწყო და ამ დრომდე, აღნიშნული შემოწმების დროს, ქართული მხარე სარგებლობდა ევროკავშირისა და საექსპორტო ქვეყნის შესაბამისი რეგულაციებით.

ცვლილებები ასევე ითვალისწინებს ალკოჰოლური დუღილის პროცესში ყურძნის შედგენილობაში გლუკოზისა და ფრუქტოზის თანაფარდობის განსაზღვრას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოები (ქინძმარაული, ახაშენი, ხვანჭკარა, ტვიში) ნამდვილად ბუნებრივად ნახევრად ტკბილია, თუ ხელოვნურადაა დამტკბარი.

***ამასთან, ყურძენში ბუნებრივად არსებული საქაროზა ნახევრად მშრალ, ნახევრად ტკბილ და ტკბილ ღვინოში 1 გ/ლ-ზე მეტი არ უნდა იყოს. ამ მაჩვენებლისაგან განსხვავებული შედეგის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ღვინოში ხელოვნურად დასატკბობად გამოყენებული იყო შაქრისგან (საქაროზასაგან) მომზადებული სიროფი.***

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შევიდა შემდეგ ტექნიკური რეგლამენტებში: „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ და „ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმლის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“.

### ქართული ღვინის პოპულარიზაციის კვალდაკვალ...

ქართული ღვინის მწარმოებელი ...

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „Vinexpo New York“ მონაწილეობდნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მსოფლიოს ყველაზე დიდ ღვინის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის წარდგენის შესაძლებლობა საქართველოდან 12 კომპანიას მიეცა, რაც ახალი სავაჭრო პარტნიორების მოზიდვისა და ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „მარქ ენერჯის“ ორგანიზებით, ღვინის პროფესიონალების, ღვინის ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაცია გამართა.

გამოფენას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა დაესწრო, რომელმაც შეხვედრები ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან გამართა. მისი განცხადებით, მსგავს მასშტაბურ ღონისძიებაში საქართველოს მონაწილეობა, ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციას, ცნობადობისა და ექსპორტის ზრდას აშშ-ში.

„ნიუ-იორკის „ვინექსპოში“ მონაწილეობით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ახალ ტენდენციებსა და გამოწვევებს მსოფლიოს ღვინის ბაზარზე, მოიძიონ ახალი სავაჭრო პარტნიორები ამერი-

... ლიც წარმოადგენს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს, სადაც განსაკუთრებით მაღალია ღვინის ხარისხის სტანდარტები. ქართული ღვინო არის მაღალი ხარისხის და კერძო სექტორთან ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ხარისხის სტაბილურობა არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ ქართული ღვინის სხვა ბაზრებზეც“, - აღნიშნა ლევან მეხუზლამ. მისი ინფორმაციით, ქართული ღვინის ექსპორტი აშშ-ს ბაზარზე ბოლო 5 წელია სტაბილურად მზარდია: 2019 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იყო 700 ათასამდე ბოთლი ღვინო, რაც თითქმის 50%-ით აღემატებოდა 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

**ალსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი სეგმენტია, სადაც ერთი ბოთლის საშუალო საექსპორტო ფასი 5,1 აშშ დოლარია.**




**გამოფენას საქართველოს გენერალური კონსული ნიუ-იორკში დიანა ჟღენტი დაესწრო. ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დიპლომატიური უწყების ორგანიზებითა და ხელშეწყობით, ბოლო წლებში ქართული ღვინის კულტურის პოპულარიზაციისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა.**

# კარანტინი, თვითიზოლაცია, კონტაქტები , სად და როგორ „იჭერენ“ კორონავირუსს

/დასაწყისი გვ.4/

**ვინც იქ ცხოვრობენ. ნუ მიიღებთ სტუმრებსა და მნახველებს. თუ მიგაჩნიათ, რომ ასეთი აუცილებლობა არსებობს, განიხილეთ ეს საკითხი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის სპეციალისტთან. თუ სასწრაფოა ისეთ ადამიანთან დაკავშირება, ვინც თქვენი ოჯახის წევრი არ არის, დაურეკეთ და ესაუბრეთ ტელეფონზე. 10. როდესაც გყავთ შინაური ცხოველები შეძლებისდაგვარად თავი შეიკავეთ თქვენს შინაურ ცხოველებთან კონტაქტისგან. თუ ეს გარდაუვალია, დაიბანეთ ხელები კონტაქტამდე და მის შემდეგ. 11. ნარჩენები ყველა ნარჩენი, რომელიც კონტაქტში იყო პირთან, გამოყენებული ცხვირსახოცების და პირბადეების ჩათვლით, უნდა მოთავსდეს ცელოფნის პარკში და ავსებისას თავი შეეკრას. ამის შემდეგ ეს პარკი მოათავსეთ მეორე პარკში და თავი შეუკარით. ასეთი ნარჩენების პარკში არ ჩაყაროთ საკვების ნარჩენები. ამის შემდეგ შეგიძლიათ ნარჩენების გადაყრა საერთო წესით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, კომენტარი ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანების უფროსს, თერაპევტ-სანჰიგიენოლოგს** ქ-ნ ხათუნა აგლაძეს:

„მინდა, ჩვენი მოსახლეობის საყურადღებოდ განვაცხადო, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საავადმყოფო სრულ მზადყოფნაშია სპეციალურ,



ბოქსირებულ განყოფილებაში მოათავსოს ერთი პაციენტი, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეგვიძლია სამ პაციენტსაც გავუწიოთ შესაბამისი დახმარება, შემდეგ ვატყობინებთ დაავადებათა კონტროლის ცენტრს და რამოდენიმე საათში ხდება სავარაუდო ინფიცირებულის გადაყვანა თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში. აქვე აღვნიშნავ, რომ მითია და აცდენილია რეალობასთან მოსახლეობაში გავრცელებული აზრი , თითქოს გრიპის ვაქცინაზე აცრილი მოსახლეობა დაცულია ამ შემთხვევაშიც კორონა ვირუსისგან. ეს ვაქცინა არ იცავს მოსახლეობას, მათ შორის არც პირბადე, რომელიც მხოლოდ დასნებოვნებულს და მის მომვლელს ან იმავე სივრცეში მყოფ პირს ესაჭიროება, სამაგიეროდ, მოსახლეობას ყველაზე მეტად იცავს პირადი ჰიგიენა და ხელების ხშირი დაბანა მინიმუმ 20-40 წამის განმავლობაში, 70%-იანი სპირტის წყალხსნარის გამოყენებით.

დასასრულს, მინდა ჩვენს მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოვუწოდო, რადგან პანიკის საფუძველი არ გვაქვს დღეს ქვეყანაში, ბევრად მომზადებულები და მობილიზებულები დავხვდით და ყოველდღიურად ყველა მოქმედება მიმართულია იმისკენ, რომ მაქსიმალურად სწრაფად და უდანაკარგოდ მოხდეს ჩვენს ქვეყანაში ვირუსის დამარცხება.“

**იტალიასთან პირდაპირი ფრენები შეჩერდა. „მთავრობის გადაწყვეტილებით უკვე შევზღუდეთ პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა იტალიასთან. აღნიშნულის შესახებ სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ უკვე აცნობა ავიაკომპანიებს, რომლებიც პირდაპირ რეისებს ასრულებდნენ და ასევე, იტალიის საავიაციო ხელისუფლებას. შესაბამისად, 6 მარტს საღამოს დაგეგმილი „რაინეარის“ რეისი არ შესრულდა.**

# პრაღა - ჯადოსნური სამყაროს დასაწყისი

***რატომ არის მოგზაურობა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი ? რატომ ვითარდება ადამიანი, როდესაც მოგზაურობს? რატომ ცვლის ის მის შეხედულებებს და აზროვნებას? ამ კითხვებს, სულ მცირედითაც კი რომ ვუპასუხოთ, ასეთ ნარატივს მივიღებთ: მოგზაურობის დროს შეგვიძლია ახალი ქვეყნები, ქალაქები, ხალხი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, კულტურა და სამზარეულო გავიცნოთ. სწორედ ამის შემდეგ ჩვენ მინიმუმ რამდენიმე ნაბიჯით ვიქნებით წინ, იმასთან რაც მოგზაურობამდე ვიყავით და გვეცოდინება, რომ მნიშვნელოვანია ხშირად გავცდეთ იმ ადგილს, სადაც ვცხოვრობთ. მოგზაურობა გაძლევს შანსს სწორად აკონტროლო შენი დრო, სრულად აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, შეიძინო ახალი უნარები, გამოსცადო საკუთარი თავი ამა თუ იმ სიტუაციაში. მოკლედ, მოგზაურობა მნიშვნელოვანია.***

### ქვეყანა №3 – ჩეხეთი, პრაღა

პრაღა წლის ყველა სეზონზე ძალიან აქტიური, მოთხოვნადი და ლამაზი ქალაქია. თუმცა, რა თქმა უნდა, მისი მონახულება გაზაფხულის სეზონზე სჯობს, მეტი სიმწვანითა და სითბოთი რომ აგავსოთ ისედაც თბილმა ქალაქმა. თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პრაღას ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს, ერთი რამ მაინც ცხადია (ამაში მისი ნახვის შემდეგ დარწმუნდებით) რჩება: მას თავისი კომპაქტურობით, ერთ მუჭში მოქცეული ღირსშესანიშნაობებით, ურბანული მოწყობით უდიდესი სიმშვიდის მოტანა შეუძლია. ისე გადადიხართ ერთი მნიშვნელოვანი ადგილიდან მეორეში, რომ ამას ძნელად შეამჩნევთ. მოკლედ, პრაღა ჯადოსნური ქალაქია, ბევრი ფერითა და ხიდით. ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქი ამავდროულად მისი მთავარი ურბანული ცენტრიცაა, რომელიც მდინარე ვლტავაზე მდებარეობს. ოფიციალური მონაცემებით, ქალაქი 1,200,000 ადამიანის საცხოვრებლად ითვლება, მაგრამ არაოფიციალური მონაცემებით აქ 300,000 მეტი ადამიანი რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობს. პრაღა, ჩემი მოსაზრებით, მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად სწორადაა მიჩნეული. ქალაქს რამდენიმე მეტსახელი აქვს დროისა და კონტექსტის მიხედვით, მათ შორის: **„ოქროს ქალაქი“, „ოთხმოცდაათიანების მარცხენა სანაპირო“, „ქალაქთა დედა“ და „ევროპის გული“.** 1992 წლიდან პრაღის ისტორიული ცენტრი იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ პრაღაში სატრანსპორტო სისტემა ძალიან კარგადაა მოწყობილი. მისი მთავარი მამოძრავებელი მეტროპოლიტენია, რომელიც სამი ხაზისგან - წითელი, ყვითელი და მწვანე, შედგება. მეტროპოლიტენის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ ქალაქის ყველა მთავარ ღირსშესანიშნაობამდე მიხვიდეთ. ქალაქში ასევე კარგად არის განვითარებული ტრამვაისა და ავტობუსების სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია, ანუ მოქმედებს ერთიანი ბილეთი. ეს საშუალებას გაძლევთ ბილეთით განსაზღვრული დროის მანძილზე იმგზავროთ (გადაჯდეთ, ჩამოხვიდეთ და ახვიდეთ) ავტობუსით, მეტროთი და ტრამვაით. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია გაჩერებებით, სადგურებით და მოძრაობის გრაფიკითაც კი. ბილეთის შეძენა, რომლის ფასიც 24 კრონიდან იწყება და 310კრონამდე( 38 ლარი დახლოებით) ადის, მეტროპოლიტენში, აეროპორტში და გაჩერებებთანაც შეგიძლიათ. თუ პრაღაში რამდენიმე დღით დაგეგმავთ ნასვლას მაშინ სჯობს 3 დღიანი ბილეთი შეიძინოთ. ისევე როგორც სხვა ბილეთების დროის ათვლა იწყება ტრანსპორტში პირველად შესვლისას რეგისტრაციის მომენტიდან. ავტობუსში შესვლისთანავე უნდა დაარეგისტრიროთ ახლადშეძენილი ბილეთი, რათა დროის ათვლა დაიწყოს. დაურეგისტრირებელი ბილეთი ბილეთად არ ითვლება და შემონმების შემთხვევაში უბილეთო მგზავრი რამდენიმე ათეული ევროთი დაჯარიმდება. პრაღაში განვითარებულია სანაოსნო სისტემაც, რომელიც ძირითადად ტურისტული მარშრუტებისგან შედგება. პრაღაში არის ვაცლავ ჰაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, თუმცა ამ ქალაქში მოხვედრა შიდა ტრანსფერებითაც მარტივად არის შესაძლებელი, რაშიც სულ რაღაც 4-5 საათი დაგეხარჯებათ. დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ საიდან მიდიხართ. პრაღას თუ ეწვევით, აუცილებლად დაგჭირდებათ კომფორტული ფეხსაცმელი, რადგან მის მოკირწყლულ ქუჩებში სიარული ნამდვილად დიდხანს გაგიგრძელდებათ. უნდა ითქვას, რომ ამ მაგიურ და ჯადოსნურ ქალაქს, ყველაფერი აქვს იმისთვის რაც შეიძლება ევროპულმა ქალაქმა ინატროს: მოსახერხებელი ტრანსპორტი, როგორც მოდერნის ასევე კონსერვატიული ხასიათის შენობები, რეკრეაციული ზონები, გემრიელი სამზარეულო. ეს სია უსასრულოა.


კარლის ხიდი

როგორც ყველაფერს, პრაღის მონახულებასაც აქვს დასაწყისი. თუკი პრაღაში დილით ჩახვედით, გეზი მაშინვე ძველი მოედნის - სტარე მესტოსკენ აიღეთ. სტარე მესტო პრაღის უძველესი, მაგრამ კვლავაც აქტუალური ადგილია როგორც ტურისტების, ასევე ადგილობრივებისთვის. ქალაქის ძველი მოედანი შენობა-ნაგებობების და არქიტექტურული ძეგლების მთელი კომპლექსია, რომელშიც სხვადასხვა სტილი ერწყმის ერთმანეთს: გოთიკა, რენესანსი, ბაროკო, როკოკო. მთავარი აქ რატუშაა. ტურისტები სწორედ ამ კოშკისკენ მიისწრაფიან, რათა იდუმალი ღირსშესანიშნაობა იხილონ — ასტრონომიული საათი. რატუშას კოშკზე მდებარე მეთხუთმეტე საუკუნეში შექმნილ ასტრონომიულ საათს აუცილებლად მოუსმინეთ. ის საათში ერთხელ რეკავს და პრაღის ერთ-ერთი სიმბოლოა. შეუძლებელია, რომ ეს ადგილი ხალხის გარეშე იხილოთ, საათის დარეკვის მომენტს აქ ათეულობით ადამიანი ელოდება. საინტერესოა, რომ 1490 წელს მას მიუმატეს კალენდარული (მზის) საათი და ორივე მოაპირკეთეს გოთიკური არქიტექტურის ფიგურებით. საათი საუკუნეების მანძილზე მხოლოდ რამდენჯერმე გაჩერდა. ასტრონომიულ საათს აქვს რამდენიმე დისკი და ფენა. პირველი ფენა არის ცა და დედამიწა. მეორე ზოდიაქოს რგოლი. მესამე რგოლი მზის მდგომარეობას ამსახველ ისარს ამოძრავებს, მეოთხე მთვარეს და მეხუთე კიდევ ვარსკვლავური საათია. შიდა ძირითად დისკზე რომაული ოქროს ციფრებით აღნიშნულია 24 საათი და ისარი აჩვენებს ადგილობრივ, პრაღის (ცენტრალური ევროპის), დროს. პრაღაც არანაკლებ გამოირჩევა დიდებული ტაძრებით. საათის მონახულების შემდეგ თქვენ შეგიძლიათ ვიტსდობი, იგივე წმინდა ვიტის ტაძარი პრაღის საკათედრო ტაძარი მოინახულოთ, რომელიც არქიეპისკოპოსის საბრძანებელიცაა. ის პრაღის ციხესიმაგრის ეზოში მდებარეობს, ეს ყველაზე დიდი ციხესიმაგრეთა, მონასტერთა და ეკლესიათა კომპლექსია მსოფლიოში. ტაძრის სრული სახელია წმინდა ვიტის, წმინდა ვენცესლავისა და წმინდა ადალბერტის კათედრალური ტაძარი. აქ დაკრძალულია ბოჰემიის მრავალი მეფე. ტაძარი გოთიკური არქიტექტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია, გოთიკური სტილი მას მისტიკურ იერს აძლევს. ის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკლესიაა ჩეხეთში. ამ უდიდესი კომპლექსის მონახულების შემდეგომ თქვენ შეგიძლიათ მთავარი ღირსშესანიშნაობა, მთელი სახელმწიფოს სიმბოლო — პრაღის გრადი მოინახულოთ. ციხესიმაგრე, რომელიც იყო და რჩება ჩეხი მმართველების რეზიდენციად. მე-20 საუკუნის ბოლოდან მისი კარი საზოგადოებისთვისაც გაიღო. მთლიანი პრაღის პანორამით სწორედ აქედან შეგიძლიათ დატკბეთ. რა თქმა უნდა, სიტყვებით იმ სილამაზის გადმოცემა შეუძლებელია, მაგრამ თუ თქვენ ლაბირინთები და გამოცანები გიზიდავთ სწორედ ასეთად მოგეჩვენებათ ის შორიდან. თითქოს ეს ხედი რაც წინ გეშლებათ, გეუბნებათ, რომ ამ სურვილებს უნდა მიჰყვეთ და ისინი ყოველთვის სწორ გზაზე გაგიყვანენ. თქვენ წინ კი აი რა გადაიშლება: კარგად შემონახული შუა საუკუნეების დახვეწილი არქიტექტურა, გემოვნებით მოწყობილი ქუჩები, ფერადი, ესთეტიკური ექსტერიერის სახლები, ხიდები, მდიდარი ისტორია, კულტურისა და თანამედროვე ცხოვრების კომპოზიციური შერწყმა, ნარინჯისფერსახურავებიანი სახლები. გაითვალისწინეთ, რომ ეს მხოლოდ ერთი პატარა მონაკვეთია თქვენი მოგზაურობის. ამ ხედით ტკბობას თუ კი ოდესმე მორჩებით (რაც ძალიან დიდხანს გრძელდება) შემდგომი რაც აუცილებლად უნდა მოინახულოთ კარლის ხიდია, ყველაზე განთქმული ისტორიული ხიდი პრაღაში. ის მდინარე ვლტავაზეა გაშენებული და ქალაქის ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებს. ხიდის მშენებლობა 1357 წელს მეფე კარლ IV-ის მეთვალყურეობით დაიწყო და დასრულდა XV საუკუნეში. ხიდზე 30 ქანდაკებაა, მისი სიგრძე 520 მ, სიგანე – 9,5 მ-ია. გარდა იმისა, რომ თავისი რომანტიკული და იდუმალი შესახედაობით, უამრავი ადამიანის გულს იპყრობს, კარლის ხიდს „მაგიური“ ძალაც აქვს, რადგან მასზე ოცნების ჩაფიქრების რიტუალი სრულდება. სწორედ ამიტომაა პრაღა ჯადოსნური სამყაროს დასაწყისი, ქალაქი ოცნებებითა და შესაძლებლობებით სავსე. მაგრამ... თუ რეალობაში დაბრუნება გსურთ, ჯონ ლენონის კედელს ეწვიეთ. ის 1980 წელს გაჩნდა, სადაც თავდაპირველად მხოლოდ ჯონ ლენონის სახე იყო, შემდეგ ნაწყვეტები „ბითლზის“ სიმღერებიდან. ამას პროტესტის ნიშნად ის ახალგაზრდები აკეთებდნენ, რომელთაც საბჭოთა კავშირის პერიოდში მსგავსი სიმღერების მოსმენას უკრძალავდნენ. სანამ პრაღის ძველი ქალაქის შესწავლას დაასრულებთ, რამდენჯერმე ცასაც ახედეთ, რადგან ფსიქოანალიზის მამას, ფროიდსაც კი შეიძლება გადაეყაროთ, რომლის ცნობა ერთი შეხედვით არც ისე მარტივია. ის ჩამოკიდებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც თავს იკლავს. ტურისტებსა და მოქალაქეებს ხშირად შემთხვევით სიტყვიერ შემოხვევებში და როგორც ადგილობრივი საგანგებო მდგომარეობის სამსახურში ამბობენ, ხშირად მიუღიათ კიდეც ზარები მის შესახებ. ქანდაკება იმდენად პოპულარულია, რომ ის გამოფენილი იყო ბერლინში, ჩიკაგოსა და ლონდონში. ნოვე მესტოში უნდა ნახოთ საკათედრო ტაძარი, მარია ღვთისმშობლის ეკლესია და წმინდა სტეფანის ეკლესია. ტურისტებზე შთაბეჭდილებას ახდენს ნაციონალური თეატრი. პოპულარულია ახირებული დიზაინის მქონე მოცეკვავე სახლი. პრაღაში მუზეუმებიც მრავლადაა, მაგრამ მათგან გამორჩეული ნაციონალური მუზეუმია. მონუმენტურ შენობებს, რა თქმა უნდა, აწონასწორებს უამრავი ბაღი, მაგ, პეტრშინის გორაკი, რომელიც მწვანეშია ჩაფლული. პრაღაში კარგად გიმასპინძლებენ — გარკვეული დოზით ეგზოტიკურად, ცოტა არტისტულად, წარმოუდგენლად გემრიელად და საკმაოდ მსუყედ. დიეტა უნდა დაივიწყოთ. ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, ლუდით იწყება. ჩეხური ლუდი — ეს დაცული გეოგრაფიული მარკაა. ასე მოხსენიების უფლება სულ რამდენიმე ბრენდს აქვს, მათ შორისაა ჯილსნერ ურქუელ და Vელკოპოპოვიცკყ კოზელ. ვერ გეტყვით, რომ ჩეხური სამზარეულოს სრულად დაგემოვნება მოვახერხე, მაგრამ იმას აუცილებლად გეტყვით, რომ კერძების მთავარი შემადგენელი აქაც ხორცია. ხორცის სიყვარულის მიუხედავად კი წელიწადში ერთხელ შობაზე ჩეხები მასზე უარს ამბობენ. ასეთია ტრადიცია. ლუდზე არანაკლებია ჩეხური ნაყინი - ტრდლო, რომელიც საკმაოდ მსუყეა, მაგრამ ტურისტს თავს ძალიან კარგად ამახსოვრებს. მისი შეძენა სასურველი შიგთავსით პრაღის ნებისმიერი ქუჩის კუთხეში ან დიდ მოედნებზე შეგიძლიათ. მისაგნებად კი მხოლოდ ყნოსვის რეცეპტორების ჩართვა დაგჭირდებათ, და თქვენ სასურველ დახლთან აღმოჩნდებით. ის ერთ-ერთი ნაციონალური ტკბილეულია, რომლის გემოც არასდროს დაგავიწყდებათ და სულ მოგინდებათ მისი კვლავ და კვლავ დაგემოვნება. საღამოს გასართობად კი პრაღის ღამის კლუბები, ბარები და პაბები გიმასპინძლებთ. ნამდვილი ჩეხური ლუდი რელაქსაციის საუკეთესო საშუალებაა, ამიტომ მეგობრებთან ერთად მის დაგემოვნებას არაფერი სჯობს. პრაღაში ყველაზე ბიუჯეტური ტურისტიც კი არ იგრძნობს თავს გარიყულად.


ასტრონომიული საათი

პრაღის მდიდარი და მრავალფეროვანი არქიტექტურა, უძველესი ქუჩები, რომლებიც შუა საუკუნეების გაცოცხლებულ ნახატებს მოგაგონებთ. ამ ქალაქში უბრალო გასეირნებაც კი შესაძლოა საინტერესო ექსკურსიად იქცეს. პრაღის ქუჩებში ყოველთვის სიყვარულის სუნი ტრიალებს, ის რომანტიკული თვალსაზრისით, ერთ-ერთი მიმზიდველი ქალაქია. ამიტომ, ვის არ უნდა სიყვარულნარევი ჟანგბადით ფილტვების მომარაგება და ჯადოსნურ სამყაროში გადანაცვლება?

ქეთუნა ყანჩაშვილი

# „მკვლელი ვირუსები“ და მსოფლიო გამოცდილება

/დასაწყისი გვ.3/

### ებოლას ვირუსი

2014-2016 წლებში ებოლას ვირუსი დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე გაჩნდა, თუმცა ვირუსის გავრცელების ნიშნები უფრო ადრე, 1976 წელსაც დაფიქსირდა აფრიკაში. ამ ვირუსს მიახლოებით 11 300 ადამიანი შეეწირა, მეცნიერები ზუსტად ვერ ადგენენ საიდან გაჩნდა ის, თუმცა ვარაუდობენ, რომ ებოლაც სწორედ ცხოველებისგან მოდის, კერძოდ, ღამურებმა ვირუსი პრიმატებს გადასდეს, შედეგ კი ეს ადამიანებსაც მოედოთ. ვირუსი მაღალ ტემპერატურას, სხეულის უეცარ და ძლიერ სისუსტესა და ორგანიზის შინაგან და გარეგან სისხლდენას იწვევდა. ებოლას პირველი შემთხვევა კონგოსა და სუდანში დაფიქსირდა და სახელწოდება მდინარე ებოლას მიხედვით შეარქვეს. ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე შეხებით, ახლო კონტაქტითა და სისხლით გადადის. ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების გარდა ებოლას ვირუსს ხშირ შემთხვევებში კუნთების სისუსტე, დიარეა და სისხლჩაქცევებიც ახლავს თან. ვირუსის გავრცელების რისკიდან გამომდინარე, 2016 წლის დეკემბერში მეცნიერებმა 70-100% ვაქცინა შექმნეს, რომელიც ეფექტიანი გამოდგა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2014 წელს ებოლას ვირუსი გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა.

### ფრინველის, ქათმის გრიპი

პირველად მე-20 საუკუნის დასასრულს 1997 წელს გამოჩნდა. ვირუსის პათოგენური ადგილი ჰონკ-კონგის ცხოველების ფერმა და ცხოველთა მაღაზია იყო და მისმა გავრცელებამ ფრინველთა და ცხოველთა ექსპორტის მკვეთრი შემცირება და ქვეყნის ეკონომიკური ზარალი გამოიწვია. საწყის ეტაპზე ვირუსთან უშუალო კონტაქტი 18 ადამიანს ჰქონდა, საიდანაც 6 გარდაიცვალა. ვირუსი ხელახლა 2003 წელს გაჩნდა ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში და იმავე წელს დაავადებულების რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო. ამ დასახელების ვირუსმა რამდენიმე წლის წინ საქართველოშიც მოიკიდა ფეხი, თუმცა მასიური გავრცელება არ მომხდარა. საქართველოში დღემდე მწარედ ახსოვთ ნაახალწლევს ჯანდაცვის იმჟამინდელი მინისტრის სატელევიზიო გამოსვლა, როდესაც „ქათმის გრიპის“ საფრთხეზე ილაპარაკა და განაცხადა, რომ ყოველ მესამე ადამიანს სიკვდილი ემუქრებოდა.

### „ღორის გრიპი“

მე-20 საუკუნეში ეს ვირუსი სხვა სახელით არსებობდა, 2009 წლის აპრილში კი „ღორის გრიპის“ სახელით მოევლინა საზოგადოებას. პირველადმა ლაბორატორიულმა ტესტირებამ აჩვენა, რომ ვირუსი მსგავსი იყო იმ ვირუსისა, რომელიც ჩვეულებრივ ჩრდილოეთ ამერიკაში ღორებში გვხვდებოდა, თუმცა შემდგომი კვლევებით დადგინდა, რომ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არსებობდა. აღნიშნული გრიპის ვირუსი 4 გენის მატარებელი იყო. „ღორის გრიპით“ გარდაცვლილთა რაოდენობის ზუსტი რიცხვი ჯერ დაუზუსტებელია და დაახლოებით 150 000-დან 575 000 -მდე მერყეობს.

ვირუსი ებოლასა და მარბურგის მსგავსი სიმპტომებით ხასიათდებოდა: თავის ტკივილი, ძლიერი სისუსტე, დიარეა, მაღალი ტემპერატურა და ზოგ შემთხვევაში ღებინების შეგრძნებაც. ვირუსი მაღალ ტემპერატურას ვერ უძლებს და 75-100 C-ზე კვდება. ღორის გრიპთან საბრძოლველად ვაქცინა არ გამოუგონებიათ, თუმცა მკურნალობის სხვა ალტერნატული ხერხებით შეძლეს მისი დამარცხება, მაგალითად, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებით და სხვა. 2009 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ "ღორის გრიპი" გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა.

# ტრაგედია დედოფლისწყაროში



***საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდინარე იორში ორი მამაკაცის ცხედარია ნაპოვნი. სამაშველო სამსახურის პრესცენტრში გაზეთ „შირაქთან“ საუბარში არ ადასტურებენ ინფორმაციას, თითქოს კიდევ ერთი მამაკაცის სამძებრო სამუშაოები გრძელდება.***

გარდაცვლილების ახლობლები ამბობენ, რომ თევზაობისას ერთერთი ბიჭი იხრჩობოდა, მეორემ კი მისი დახმარება სცადა, შედეგად, ორივე მათგანი წყალში გაუჩინარდა და სამაშველო სამსახურის გამოძახება გახდა საჭირო.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ 112-ში შემოვიდა ინფორმაცია დედოფლისწყაროში, დალის მთის წყალსაცავის მიმდებარედ გაუჩინარებული ორი მოქალაქის შესახებ. ინიციატორის განცხადებით, მოქალაქეები მდინარე იორზე სათევზაოდ იყვნენ წასულები, რა დროსაც მდინარეში ჩავარდნენ. ადგილზე მყოფმა სხვა მეთევზეებმა, მდინარეში გადავარდნილი მოქალაქეების ადგილსამყოფელს ვეღარ მიაგნეს და დასახმარებლად სამაშველო სამსახური გამოიძახეს.

ინფორმაციის მიღებისთანავე, შეტყობინებაზე რეაგირება მოახდინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა. შემთხვევის ადგილზე ადგილობრივი სახანძრო-სამაშველო ჯგუფების გარდა, ასევე, გავიდნენ განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს წყალზე რეაგირების და მყვინთავთა ჯგუფები.

საძიებო-სამაშველო ოპერაციის შედეგად მდინარე იორში ნაპოვნია ორი მამაკაცის ცხედარი“, - აღნიშნულია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციაში.

ორივე გარდაცვლილი დედოფლისწყაროს მკვიდრია. ერთერთი 19 წლის **თემურ უძილაურია,** რომელსაც 5 მარტს 20 წელი შეუსრულდებოდა. მეორე კი 29 წლის **დავით გოგილაშვილია,** რომელიც ვაშლოვანის ნაკრძალში რეინჯერად მუშაობდა. დაოჯახებული არც ის იყო. თემურ უძილაური საკუთარ დაბადების დღეზე, სოფელ თავწყაროში დაკრძალეს, დათო კი იმავე დღეს დედოფლისწყაროში.

მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი უბედური შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა დედოფლისწყაროში. დიდი შირაქის მიმდებარე ტერიტორიაზე, სანადიროდ მიმავალი ახალგაზრდების ავტომანქანა ამობრუნდა, შედეგად 30 წლის ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ავტომანქანის ყველა მგზავრი ყვარლის მუნიციპალიტეტიდან იყო, სოფელ შილდის მკვიდრია უბედური შემთხვევისას გარდაცვლილი მამაკაციც.

**გაზეთ „შირაქის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.**

## მონატრება

### მარიამ ყოჩიაშვილი და ხვთისო ჯაგაშვილი



უკვე წლებია, რაც აღარ მყავხართ, მაგრამ მე თითქმის ყოველდღე გესაუბრებით. მეამაყება, რომ ასეთი მზრუნველი, ყურადღებიანი, კეთილი, პრინციპული მშობლები იყავით. ჯაგაშვილების ოჯახმა სამი ქალიშვილი გაგვზარდეთ. შვილები მშობლების ამაგს რომ ვერ გადაიხდიან, ეს აქსიომაა. სამმა შვილმა ვერ შევძელით იმის ნახევარი, რაც თქვენ შვილებისთვის გააკეთეთ - სამივე შვილის უმაღლესი განათლება უზრუნველყავით. ორივე სამამულო ომის ვეტერანები იყავით, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვებულები. დედა, შენ პროფესიით ბუღალტერი იყავ და სიცოცხლის ბოლო წლამდე მუშაობდი. მამას საკუთარი ბიზნესი ჰქონდა. მამა, შენ პირველმა დაგვტოვე. მართალია, აღარ ვიყავით პატარები, ყველა შვილიშვილს მოესწარ, მაგრამ სიკვდილი ზარს გცემს ადამიანს. შემდეგ დედამაც მიგვატოვა. ეს ისეთი დიდი ტკივილია, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა შუძლებელია. თქვენ ისეთი ხალისიანები, სტუმართმოყვარეები იყავით, რომ დღესაც სიყვარულით გიხსენებენ. მიწიერი ცხოვრებით არ მთავრდება ყველაფერი. ჩვენ ყოველთვის გვახსოვხართ და მუდამ გვეყვარებით. ბედნიერი მშობლები წახვედით. ღვთიური მადლი ეფინოს თქვენს სამუდამო სასუფეველს.

**დიდი მონატრებით თქვენი შვილები :** ქუჟუნა და ლალი ჯაგაშვილები.

### ლუიზა ჯაგაშვილი



ლუიზა, ვიცი, არ გიყვარდა გაზეთში ნეკროლოგების კითხვა და ოდესმე შენზეც რომ დაეწერა ვინმეს, არ აპატიებდი. ერთი წელი ვითმენდი, ჩემო საყვარელო და ტკბილო დაიკო. სამი დედმამიშვილი გავიზარდეთ ჯაგაშვილების ოჯახში. მე და შენ 12 წელი ვიცხოვრეთ ერთად თბილისში ოჯახისგან დამოუკიდებლად, ჩვენ ერთმანეთის დებიც ვიყავით, მშობლებიც, დაქალებიც. უერთმანეთოდ და შეუთანხმებლად არაფერს ვაკეთებდით. შენგან, როგორც უფროსი დისგან, დარიგებასაც ვლებულობდი. ახლა?... ფიზიკურად აღარ მყავხარ. სულიერად კი სულ ჩემთან იმყოფები. როგორი საამაყო და სასახელო იყავი ჩვენთვის და არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი პედკოლექტივისთვის ნათესავ-ნაცნობებისათვის, ყველა გვეფერება და გვეუბნება, რომ ძალიან კარგი და დავკარგეთ. შენ ხომ იუმორით სავსე, მხიარული, დაძაბულობის განმმუხტველი, პრინციპული და ძალიან კეთილი იყავი. როგორი სულით ძლიერი ყოფილხარ-გციოდა, გიჭირდა, იტანჯებოდი და ამავე დროს შეგეძლო, სხვა გაგემხნევებინა, და როცა გეკითხებოდნენ, როგორ ხარო, ყველაზე უკეთესადო, პასუხობდი შენი საყვარელი ფრაზით. 40 წლის ასაკში უკვე ქვრივი იყავი. ტრაგიკულად დაიღუპა შენი მეუღლე - უფლისა სულაშვილი. აი, იმ დღიდან წვალობდი და მკვდარი გულით გაზარდე შვილები. მხიარულად იყავი, თუ იცინოდი, მხოლოდ შვილებისთვის.

საყვარელი ადამიანის დაკარგვა დიდი ტკივილია, ტკივილი ადამიანს არ კლავს, მაგრამ სულს უმწარებს და ტანჯავს. როგორ გავუძლოთ მე და ლალიმ, შენმა ობლობით დაზრდილმა შვილებმა, შენ ხომ მათი დედაც იყავი და მამაც. ანდა, შენმა შვილიშვილებმა ვიღას დაუძახონ ლუი ბებო?! ვამაყობ, რომ კარგი პედაგოგის და კარგი დედის სახელი დატოვე. სული მტკივა, როცა ვფიქრობ, რომ ვეღარასოდეს დაგინახავ, თუმცა, თვალებით სულ დაგეძებ. შენს სულს სანთელსაკმეველი არ მოაკლდება, ჩემო კეთილო და ალალმართალო დაო.

**შენი დები**: ქუჟუნა და ლალი; **შვილები:** ნიკა და ირმა, **სიძე** ლევანი, **შვილიშვილები:** თორნიკე და ანა.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ **მალხაზ უძილაურს** ძმის, **ნანა უძილაურს** ძმიშვილის

თემურ უძილაურის

ტრაგიკული გარდაცვალების გამო

---

დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლის 1988 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ თანაკლასელს მარინა ჭიალაშვილს შვილის

დავით გოგილაშვილის

ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები: ნონა ნიკოაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, დათო რობიტაშვილი, სოსო გოგაშვილი, ომარი ალადაშვილი, გენადი ნასრაშვილი, მარინე კაკალაშვილი, გიორგი გონაშვილი, მადლენა ყოჩიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მზია ნატროშვილს ძმის, მამუკა და მადონა ბარბაქაძეებს - ბიძის, ასოცირებული პროფესორის

ოთარ ნატროშვილის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა ქ. თბილისში.

---

ვანო, ეთერი, ირმა და ინგა შიოლაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ოთარ, გიორგი და მარინა ჭიალაშვილებს

დავით გოგილაშვილის

ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები: ნოდარ გივიშვილი, გივი ლომიძე, ნელი ღვინიაშვილი, მადლენა ყოჩიაშვილი, ნაზი მოსაშვილი, ელგუჯა ბასილაშვილი და ომარ ჩალახეშაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ალიკა სულაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ადამიანებო, წინ პროგრესისაკენ!

**ჩვენს საზოგადოებაში ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პროგრესს ჩვენვე ვაფერხებთ. გიკვირთ, არა? ამ აზრის სიცხადეში იოლად დარწმუნდებით, თუ დედოფლისწყაროს სკვერებში, რომლებიც ადამიანების კულტურული დასვენების მიზნით მოეწყო, დამტვრეულ სკამებსა თუ განათების სისტემებს შეხედავთ. ბოლო დროს მათ ახლადგარემონტებული ცენტრალური სტადიონიც შეემატა, რომლის რეაბილიტაციაზეც 60 000 ევრო დაიხარჯა. გამოდის, რომ სამთავრობო სტრუქტურების, ევროკავშირის კეთილი ნება, სოლიდური თანხა და შრომითი რესურსი წყალში ჩაიყარა.**





ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, სოციალიზაციას გულისხმობს. სოციალური გამოცდილების შეძენით, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებით, საკუთარი პოზიციის გამოხატვით, სხვებთან დაპირისპირებით, დამოუკიდებლობის გამოვლენით, საკუთარი თავის „შემოწმებით”, შემდგომი საქმიანობის პერსპექტივების დასახვით, ბავშვი ზრდასრულ პიროვნებად ყალიბდება. ბავშვთა და მოზარდთა დანაშაული არის ფენომენი, რომელიც ყველას ეხება. მოზარდის ანტიჰუმანურობა, დაუნდობლობა, ეთიკური, ზნეობრივი კრიტერიუმების არარსებობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური სიმწიფის პრობლემაა, რომლის მოგვარება მთლიანად სოციუმზეა დამოკიდებული; და ეს არა მარტო კონკრეტული სფეროს წარმომადგენლების, არამედ მთელი საზოგადოების ამოცანაა.



ბავშვებისა და მოზარდების მხრიდან ვანდალიზმი არის რეაქცია იმაზე, რომ მათ ყურადღებას არ აქცევენ და არ აფასებენ. მოზრდილებმა უნდა ისწავლონ ბავშვების აღიარება. საჭიროა მოზარდებთან მეტი კონტაქტი და არა მათზე კონტროლის გაძლიერება. მუშაობა აუცილებლად უნდა იყოს მიმართული მშობლებისკენ. ისინი უნდა გაერკვნენ შექმნილი პრობლემური სიტუაციის მიზეზებში. საჭიროების შემთხვევაში მუშაობა უნდა წარიმართოს საკუთარი შვილების მიმართ დამოკიდებულების შეცვლისაკენ. სწავლების სპეციალური პროგრამებით უნდა მოხდეს მშობლების კომპეტენციის გაუმჯობესება ბავშვის აღზრდის საკითხში.

პასუხისმგებელი ორგანოები და ფსიქოლოგები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ბავშვების და მოზარდების არასწორი საქციელი უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. თუმცა, ხშირად სწორედ ამავე საზოგადოებას ავიწყდება, რომ „დანაშაულის ჩამდენებიც“ ამ საზოგადოების წევრები არიან და მათაც თავიანთი შეხედულებები, აზრები და „სამიზნე“ ობიექტები ჰყავთ. ტყუილად არ აღვნიშნეთ, რომ ყურადღების ნაკლებობას არ აღიარებამდე მივყავართ, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მოზარდების აგრესიული ფორმების გამოვლენაზე. ამის ნათელსაყოფად კი დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის ამჟამინდელი მდგომარეობაც კმარა. როგორც ჩვენი მკითხველების უმეტესობამ იცის, ის სულ ახლახანს სრულად გარემონტდა, მოეწყო სავარჯიშო და სატრენაჟორო ადგილები, შეიცვალა სკამები და გარემოც. დღეს იქ უამრავ ადამიანს ნახავთ, სხვადასხვა ასაკისა და თაობის წარმომადგენელს, რომლებიც უბრალოდ ჯანმრთელი ცხოვრების წესის შენარჩუნებას ცდილობენ და ამ სიკეთეს, რომლითაც იდეაში ყველა უნდა ამაყობდეს, სწორედ ამისკენ მიმართავენ. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია ის, თუ რატომ უნდა მოუნდეს ადამიანს ამ ყველაფრის დანგრევა, განადგურება, დამტვრევა, ყველაფრის ისევ ცუდ მდგომარეობაში დაბრუნება. მსგავსი ქმედებებით ხდება იმ სიკეთეებით სარგებლობის უფლებისა და შესაძლებლობის წართმევა, რაც ადამიანს სახელმწიფოს მხრიდან ეძლევა. ეს არა მარტო საზოგადოების, არამედ საკუთარი თავის მიმართ მავნელობაცაა, რადგან ამით ხდება იმ განვითარებაზე, წინსვლასა და შესაძლებლობებზე უარის თქმა, რომელსაც მცირედით, მაგრამ მაინც გვაძლევს ჩვენი საცხოვრებელი გარემო. დახეული საკალათბურთო ბადეები, დეფორმირებული დამცავი რკინის ბადეები, დაბინძურებული გარემო, შელახული ფასადები - სწორედ ეს მდგომარეობა დახვდებათ დღეს, თუკი სტადიონზე მიხვალთ და მისით სარგებლობას გადაწყვეტთ. ეს არის პასუხი საზოგადოების მხრიდან იმ წინ გადადგმულ ნაბიჯზე, რასაც გარემოს ცვლილება ჰქვია.

ალბათ, სხვა ნეგატიურ შედეგთან ერთად, გულდასაწყვეტია, როდესაც ამ მდგომარეობას ვუყურებთ. სინანულის გრძნობა უჩნდება ადამიანს, როდესაც ხედავს, როგორ ცვლის პროგრესს რეგრესი, სილამაზეს არაესტეთიკურობა, სისუფთავეს სიბინძურე, წესრიგს უწესრიგობა, ცვლილებების სურვილს კი უბრალოდ, უძრაობა. აქედან გამომდინარე კითხვებიც თავისთავად ჩნდება:



რატომ არ გვიყვარს იმის გაფრთხილება, რასაც ჩვენვე ვიყენებთ და ვსარგებლობთ?

რატომ არ შეგვიძლია მადლიერები ვიყოთ და პიქირით, უფრო მეტი გავაკეთოთ გარემოს უკეთესი ცვლილებისთვის?

რატომ ვერ ვანსხვავებთ, რა არის ცუდი, კარგი, შეუძლებელი და შესაძლებელი?

რატომ გვინდა, მუდმივად უკან დაბრუნება, ცუდისკენ გახედვა და რატომ ვერ ვიაზრებთ, რომ ეს ყველაფერი არამარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენი მომავალი თაობისთვისაც კეთდება?

რატომ არ გვინდა იმ პასუხისმგებლობის გააზრება, რომელიც როგორც სოციუმის წევრებს, ერთმანეთის მიმართ გვაკისრია და რომელსაც, უბრალოდ „ადამიანობა“ ჰქვია?

ამ კითხვებზე პასუხებიც ყოველმა ჩვენგანმა საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. გაუფრთხილებლობა, მავნებლობა და ზიანის გაუაზრებლად ანდაც გააზრებულად მიყენება, არათუ ასოციალურობაზე მეტყველებს, არამედ საზოგადოების კულტურული განვითარების დონესაც განსაზღვრავს. არ არის ძნელი გვიყვარდეს ის, რასაც ვიყენებთ და ვსარგებლობთ, არ არის რთული ვიყოთ მადლიერები და ვიბრძოლოთ ცვლილებებისთვის. ადვილად შეგვიძლია განვსაზღვროთ რა არის ცუდი, კარგი და შესაძლებელი, წინ უნდა ვიყურებოდეთ და არ უნდა დაგვავიწყდეს ის პირადი პასუხისმგებლობა, რომელიც ერთმანეთის მიმართ გვაკისრია და რომელიც ხანდახან გვავიწყდება ხოლმე. ადამიანობის გამოვლენასა და გააზრებას იმდენივე ძალისხმევა სჭირდება, რამდენიც მის დავიწყებას. იყავით ადამიანები!

ხათუნა ბენაშვილი
ქუქუნა ყანჩაშვილი

## ულოცავენ!

### ლია მაისურაძეს! ვაჟა გონაშვილს!

ჩვენი ორგანიზაციის გამორჩეულ წევრებს, მეცენატებს და სპონსორებს გილოცავთ შვილების გურამ გონაშვილის და ნათია იაკობიშვილის ქორწინებას.

ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, გაუხუნარ სიყვარულს მთელი ცხოვრების მანძილზე და გამრავლებას. შვილიშვილებით აგევსოთ ეზო-კარი და გაიხარეთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად. უფალმა წყალობა არ მოგაკლოთ.

**პატივისცემით,**
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის
გამგეობა და წევრები.

### თამარ ტურიაშვილს!

ჩვენო ძვირფასო, გილოცავთ დაბადების საიუბილეო 70 წლისთავს. იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი მეუღლესთან-**ციხელო გორაშვილთან**, შვილებთან-**ხათუნასა და ნატოსთან** და მათი ოჯახის წევრებთან ერთად. 46 წელია, ერთად მოვდივართ, სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით შეკრულ ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობთ და ვუფრთხილდებით ამ ურთიერთობას ორივე მხარე, რადგან გვესმის, რომ მხოლოდ ერთი მხარის მცდელობა ჰარმონიას ვერ შექმნის. ეს ჰარმონია კი ჩვენი არა მხოლოდ მოვალეობა, არამედ მიზანიც არის. ეს მაგალითია შვილების და საზოგადოების წინაშე. ამ შეგნებით ვიარეთ ეს 46 წელი და ასე იქნება მთელი სიცოცხლის მანძილზე. უფალი გფარავდეს და გწყალობდეს.

**სიყვარულით და პატივისცემით,**
შენი მულები: ნაირა და გულნარა გორაშვილები.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 09.03 | | სამშაბათი 10.03 | | ოთხშაბათი 11.03 | | ხუთშაბათი 12.03 | | პარასკევი 13.03 | | შაბათი 14.03 | | კვირა 15.03 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 12° | 7 ° | 14 ° | 5 ° | 17° | 9 ° | 18° | 11 ° | 16 ° | 9° | 13° | 10 ° | 15 ° | 10 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.